წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება; ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში; ც) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება; დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს რეალური კონტრაქტზე გაწეული ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

6. შეცდომის გასწორება

კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდში დაფიქსირებული შეცდომების გასწორება/რეკლასიფიკაცია მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რამაც შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
31 დეკემბერი 2016			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,346	(879)	13,467
გაცემული სესხები	-	806	806
საგადასახადო აქტივი	106	(106)	-
აკრედიტივი	723	(723)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,345	207	13,552
სესხები	2,368	723	3,091

ეფექტი სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე	წინა ანგარიშის მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხები
31 დეკემბერი 2016			
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	18,354	386	18,740
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,077	968	2,045
საოპერაციო ხარჯები	1,283	(1,283)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	117	(117)	-
სხვა ხარჯები	178	(178)	-
ფინანსური ხარჯი	239	610	849

შპს „კავკასიენერგო“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2017 წლის დეკემბერი
 (ათასი ლარი)

7. ძირითადი საშუალებები

	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო იარაღები	ჯამი
<i>ისტორიული ღირებულება</i>					
2016 წლის 1 იანვარი	677	199	7,788	33	8,697
შემოსვლა	57	72	2,920	842	3,891
გასვლა	-	(3)	(2,157)	(12)	(2,172)
2016 წლის 31 დეკემბერი	734	268	8,551	863	10,416
შემოსვლა	177	15	260	41	493
გასვლა	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	911	283	8,811	904	10,909
<i>დაგროვილი ცვეთა</i>					
2016 წლის 1 იანვარი	(118)	(34)	(641)	(5)	(798)
ცვეთის ხარჯი	(34)	(117)	(1,178)	(8)	(1,337)
გასვლა	-	-	-	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	(152)	(151)	(1,819)	(13)	(2,135)
ცვეთის ხარჯი	(39)	(56)	(1,084)	(175)	(1,355)
გასვლა	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	(191)	(207)	(2,903)	(188)	(3,490)
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2016 წლის 1 იანვარი	559	165	7,147	28	7,899
2016 წლის 31 დეკემბერი	582	117	6,732	850	8,281
2017 წლის 31 დეკემბერი	720	76	5,918	716	7,430

შპს „კავკასიენერგო“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2017 წლის დეკემბერი
 (ათასი ლარი)

8. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-17	31-დეკ-16
დაუმთავრებელი წარმოება	549	551
ნედლეული და მასალები	309	235
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	83	53
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	941	839

2017 წლის განმავლობაში 5,255 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-17	31-დეკ-16
სავაჭრო მოთხოვნები	3,600	10,009
გაცემული ავანსები	1,287	2,760
სხვა მოთხოვნები	1,293	861
თანხები დაკავშირებული მხარეებისაგან	-	117
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები	(348)	(280)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,832	13,467

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-17	31-დეკ-16
თანხა ბანკში	14	20
თანხა სალაროში	6	106
შეზღუდული ფულადი სახსრები	7	7
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	27	133

11. გაცემული სესხები

	საწყისი თარიღი	დაფარვის თარიღი	საპრ. განაკვეთი	ვალუტა	31-დეკ-2017	31-დეკ-2017
ჯაველიძე ზურაბი	19-12-16	19-12-21	20%	USD	320	269
მოლაშხია გიორგი	19-12-16	19-12-21	20%	USD	320	269
მირუაშვილი გიორგი	19-12-16	19-12-21	20%	USD	319	268
სულ					959	806
ძირი					806	806
გადასახდელი პროცენტები					153	-
რეზერვი					(504)	-
					455	806

შპს „კავკასიენერგო“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2017 წლის დეკემბერი
(ათასი ლარი)

12. კაპიტალი

2016 წლის განმავლობაში, მოხდა მფლობელების მიერ კაპიტალის გატანა, შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, კაპიტალის ბალანსი იყო ნოლი (2016: ნოლი)

გამოცხადებული და გაცემული დივიდენდის ბრუნვა მოცემულია ქვემოთ:

	31-დეკ-17	31-დეკ-16
გადასახდელი დივიდენდი (1 იანვარი)	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდი	473	-
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი	(473)	-
გადასახდელი დივიდენდი (31 დეკემბერი)	-	-

13. სესხები

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სს ბანკი რესპუბლიკა	07-06-16	31-05-18	8.5%	USD	102	163
სს ბანკი რესპუბლიკა	06-07-16	31-05-17	12%	GEL	-	476
ხელშეკრულება DC-634057	29-06-16	01-07-19	7.5%	EUR	322	289
სს თიბისი ბანკი	12-08-16	12-08-18	8.5%	USD	36	52
სს თიბისი ბანკი	21-12-16	31-12-17	7%	GEL	-	1,503
სს თიბისი ბანკი	13-12-17	29-01-18	13%	GEL	250	-
სს თიბისი ბანკი	12-08-16	12-08-18	8.5%	USD	-	37
სს ბანკი რესპუბლიკა	07-06-16	31-05-18	8.5%	USD	-	137
ხელშეკრულება DC-634057	29-06-16	01-07-19	7.5%	EUR	241	434
სულ სესხები					951	3,091
ძირი					951	3,086
პროცენტი					-	5
					951	3,091

სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2017 წელს შეადგენს 461 ათას ლარს (2016: 239 ათასი ლარი)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2017	31-დეკ-2017
მიღებული ავანსები	2,359	5,329
სავაჭრო ვალდებულებები	2,269	5,866
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	929	1,192
სახელფასო ვალდებულებები	527	858
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	307
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	6,084	13,552

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

შპს „კავკასიენერგო“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2017 წლის დეკემბერი
(ათასი ლარი)

- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

15. ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე

ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	31-დეკ-2017	31-დეკ-2017
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული გადასახადები:	131	-
ერთი წლის განმავლობაში	61	-
ორიდან ხუთი წლის განმავლობაში	70	-
გამოკლებული: სამომავლო ფინანსური ხარჯები	11	-
საიჯარო ვალდებულების დღევანდელი ღირებულება	120	-

16. შემოსავალი

შემოსავალი	2017	2016
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	9,772	22,960
სულ შემოსავალი	9,772	22,960

17. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2017	2016
მასალის ხარჯი	5,255	12,081
ხელფასი	3,773	4,479
მომსახურებები	847	453
ცვეთა და ამორტიზაცია	1,299	1,220
რემონტის ხარჯი	425	487
სხვა ხარჯები	-	20
სულ თვითღირებულება	11,599	18,740

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2017	2016
უიმედო დებიტორების ანარიცხები	573	117
ხელფასები	621	650
საკომისიო ხარჯები	125	326
იჯარის ხარჯი	148	158
მომსახურების ხარჯები	138	67
კომუნალური ხარჯები	73	13
მივლინების ხარჯები	63	58
ცვეთის ხარჯი	56	116
დაზღვევის ხარჯი	54	68
კომუნიკაციის ხარჯები	45	35
საწვავის ხარჯი	123	83
ამორტიზაცია	-	30
სხვა ხარჯები	21	236
სხვა საგადასახადო ხარჯები	352	88
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,392	2,045

19. სხვა შემოსავლები

კომპანიას 2017 წელს ქონდა მხოლოდ ერთი სახეობის სხვა შემოსავლი - საიჯარო შემოსავალი 29 ათასი ლარი (2016: 2,806 ათასი ლარი)

20. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავალი შედგება შპს მჯმ - ის, შპს ქუთაისცემენტის, შპს ჯეო მეტალის მიერ ხელშეკრულების პირობების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დარიცხულ ჯარიმებისგან და საურევაებისგან.

21. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმაა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

22. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული,

შპს „კავკასიენერგო“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2017 წლის დეკემბერი
(ათასი ლარი)

როგორცაც წარსულში არ ქონია ადგილი, შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულა (2016 წლის 31 დეკემბერი: არანაირი ვალდებულება)

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით: ნოლი).

23. დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები

ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების საერთო მოცულობა, რომლებიც დაიდო შესაბამის დაკავშირებულ მხარეებთან.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არე		31-დეკ-2017	31-დეკ-2016
ურთიერთობის სახე		დაკავშირებული მხარეების ბალანსი	დაკავშირებული მხარეების ბალანსი
სავაჭრო მოთხოვნები		2,254	1,119
შპს "ქუთაისცემენტი"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	489	20
შპს "MJM"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	1,233	616
შპს "Geo Metal"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	532	483
სხვა მოთხოვნები			157
შპს "ქუთაისცემენტი"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	-	49
შპს "Geo Metal"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	-	108
სავაჭრო ვალდებულებები		13	123
შპს "ქუთაისცემენტი"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	1	42
შპს "MJM"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	-	55
შპს "Geo Metal"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	12	26

სრული შემოსავლის ანგარიშგების არე

		2017	2016
ურთიერთობის სახე		დაკავშირებული მხარეების ბალანსი	დაკავშირებული მხარეების ბალანსი
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან		7,026	4,482
შპს "ქუთაისცემენტი"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	1,465	1,337
შპს "MJM"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	3,793	2,447
შპს "Geo Metal"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	1,768	698
მასალების შესყიდვა		632	806
შპს "ქუთაისცემენტი"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	532	726
შპს "MJM"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	100	1
შპს "Geo Metal"	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი	-	79

სხვა დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები:

მენეჯმენტის ანაზღაურება

2017

ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი

195,000

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

მმართველობითი ანგარიში

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “კავკასიენერგო” (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანიის რეგისტრაციის თარიღია 2011 წლის 14 დეკემბერი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფიზიკური პირი, ზვიად მესხი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს გვირაბების მშენებლობა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა და რემონტი. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის აღმასრულებელი ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი. კომპანიის დირექტორს და გადაწყვეტილებების მიმღებს, კომპანიის აქციონერთან ერთად წარმოადგენს ზურაბ ჯაველიძე.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, შემდეგ მისამართზე - ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. N2, სართული 3. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2017 წლისთვის შეადგენდა 298 ადამიანს.

კომპანიის ფინანსური მდგრალობა

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდგომარეობა (კაპიტალის ზრდა). მტკიცე საგადასახდლო დისციპლინა. ფინანსური მდგრალობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან: საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ინფორმაცია კომპანიას ყოველთვის აქვს სრული, დროული, ზუსტი, გასაგები და მნიშვნელოვანი, საიმედო და უტყუარი. კომპანიის წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბებით, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება კომპანიის მდგრადობის ხელშეწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შედარებაზე დაყრდნობით.

კომპანია მომგენიანი იყო როგორც 2017 წელს, ასევე 2016 წელსაც. კომპანიის მოგებამ 2017 წელს შეადგინა 1,120 ათასი ლარი, რაც 1,920 ლარით ნაკლები იყო 2016 წელთან შედარებით. მოგების შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო შემოსავლის შემცირებით სამშენებლო კონტრაქტებიდან, რაც ნაწილობრივ დაკომპენსირდა სხვა არასაოპერაციო შემოსავლებით.

საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

კომპანიას თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი (ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე) არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოეშვება მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნებიდან.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შემოწმებას გარე რესურსებიდან, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. საწარმოებისათვის მოთხოვნების მაქსიმალური ლიმიტის დადგენა მათთან წარსული ურთიერთობის, გამოცდილების საფუძველზე. ასევე, კომპანია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მიმართავს ღონისძიებებს საკრედიტო რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად, რაშიც იგულისხმება:

- ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა.
- სასამართლოში სარჩელის შეტანა თანხის იძულებით გადახდევინებაზე.

ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების დაფარვისათვის საჭირო შესაბამისი აქტივები.

ფულადი სახსრები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

სავალუტო და საბაზრო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს რისკ იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანიის დამოკიდებულება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკზე მისი დამოკიდებულების ჰეჯირებას.

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად აისახება სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადგანაკვეთიანი დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმისა, რომ განსაზღვროს თუ რა სახის უნდა იყოს კომპანიის დამოკიდებულება ფიქსირებულ ან ცვალებადი განაკვეთების მიმართ. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება კომპანიისათვის, თუ - ცვალებადი განაკვეთი მოსალოდნელი დროის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე.

სხვა ოპერაციები

- ✓ კომპანიას აქვს აღებული სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტებიდან.
- ✓ კომპანიას არ აქვს გაცემული გარანტიები ან საგარანტიო წერილები, არ ერიცხება ავანსად გადახდილი თანხები.
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ხელმოწერი პირები:

ზურაბ ჯაფელიძე

ლია არაქელაშვილი

სხვა ოპერაციები

- ✓ კომპანიას აქვს აღებული სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტებიდან.
- ✓ კომპანიას არ აქვს გაცემული გარანტიები ან საგარანტიო წერილები, არ ერიცხება ავანსად გადახდილი თანხები.
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

ხელმოწერი პირები:

ზურაბ ჯაფელიძე

ლია არაქელაშვილი

შპს „კავკასიენერგო“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა მმართველობით ანგარიშგებაზე:

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

18 ოქტომბერი 2018

თბილისი, საქართველო

შპს „კავკასიენერგო“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

დასკვნა მმართველობით ანგარიშგებაზე:

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე


ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საკუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

18 ოქტომბერი 2018

თბილისი, საქართველო



Closer to you